№ 121 ივნისი 12, ოთხშაბათი — 1891 — ივნისი 12, ოთხშაბათი № 121


**გაზეთი ღირს**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური


# ივერია


გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1891 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1891


## „ივერია“

გამოვა 1891 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

**ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1891 წლისათვის მიჰმართოს:**

**ტფილისში:** ა) თვითონ რედაქციას, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელი იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესაფერს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

---

ვამზადებ ყმაწვილებს გიმნაზიებსა, რეალურს სასწავლებელსა და სამოქალაქო სასწავლებელში შესასვლელად და აგრეთვე იმათაც, ვისაც ხელმეორედ გამოცდა აქვს დანიშნული.

---

## ახალი ამბავი

*** გუშინ-წინ, ამ თვის 10, კავკასიის მთავარ-მართებელი გენერალ ადიუტანტი ს. ა. შერემეტევი, ტფილისის გუბერნატორის თავ. გ. დ. შერვაშიძითურთ გაემგზავრა სოფელს საგურამოში.

*** ამ თვის ათს, სულის წმიდის მოფენის დღეს, ტფილისის მართლმადიდებელს სემენარიაში, ჩვეულებისამებრ, წირვის შემდეგ, წლიური აქტი იყო გამართული. როგორც აღმოჩნდა, სწავლა დაუმთავრებია ორმოცდაშვიდს მოწაფეს. მათ შორის მარტო ორია რუსი, სხვანი სულ ქართველები, [illegible] პირველის რიგის მოწაფეებად მხოლოდ ათი აღიარეს და სტუდენტობის ღირსება მიანიჭეს. წესდების ძალით, მარტო სემინარიის სტუდენტს აქვს ნება, სასულიერო აკადემიაში განაგრძოს უმაღლესი განათლება. წლეულს სამი ქართველი მიდის აკადემიაში და თვითოეული სხვა-და-სხვა ქალაქს, სახელდობრ: ნიკიფორე მამინაიშვილს ჰგზავნიან სახელმწიფო ხარჯით პეტერბურგის აკადემიაში, მელიტონ ჩოლოყაძეს კიევისაში, ხოლმე მესამე—ანდრონიკე გძელიშვილი თავისით აპირებს წასვლას ქ. ყაზანს სასულიერო აკადემიაში შესასვლელად.

*** ტფილისის პირველს კლასსიკურს გიმნაზიაში უკვე გამოაცხადეს საპედაგოგიო საბჭოს დადგენილობა, რომლიდგანაცა სჩანს, რომ ამ წელს ამ გიმნაზიაში ოც-და-ათ შეგირდისაგან სწავლა დაუმთავრებია 27 შეგირდს. ამათში მალიშევსკისა და შახბუდაღოვს მიუღიათ ოქროს მენდლები და კორშს—ვერცხლისა.

*** გუშინდლიდამ დაიწყო მუშაობა ყორღანოვის წყლის ამოსაყვანმა მანქანამ ვერაზე, რადგანაც ქალაქის მილის წყალი არა ჰყოფნის ხალხს სასმელად. ამას გარდა ავლაბარსა, ნავთლუღში და რიყეზე გუშინ-წინ ქალაქის მმართველობამ ნება მისცა მდინარე მტკვრიდამ წყლის ზიდვისა.

*** შარშან ბ-ნ რატილის ხორომ რუსეთში წასასვლელად ხუთის კონცერტის აბონემენტი გამოაცხადა და ამ ხუთში ერთი მაშინვე გაჰმართა. მეორე კონცერტი აბონემენტის ამღებთათვის, როგორც შევიტყეთ, გამართული იქნება ხვალ, ხუთშაბათს, 13 ივნისს, გერმანელების ბაღში. კონცერტი ოთხის განყოფილებისაგან შესდგება: პირველს განყოფილებაში ხორო იგალობებს ქართულს ხმებს, მეორეში—რუსულს ენაზედ წარმოადგენენ ერთს-მოქმედებიანს ვოდევილს, მესამეში—დივერტისმენტი და მეოთხეში—კვლავ ქართული ხორო. ამ ბაღში საღამოს შვიდ საათიდგან პარიზეკის მეთაურობით სამხედრო მუსიკა დაუკრავს და მთელი ბაღი განათებული იქნება.

*** „წერა-კითხვის საზოგადოების ლატარია-ალეგრისათვის ბ-ნმა თავართქილაძემ შემოსწირა 4 მ. და 25 კ. საღირალი წიგნები.

საზოგადოების გამგეობა დიდს მადლობას უძღვნის შემომწირველს.

*** ბორჯომი: ბორჯომის ფოსტის გამტეხთა შორის ორი კაცი უკვე შეიპყრა პოლიციამ. ერთი არის თვით დარაჯი, რომელიც იმ ღამეს ყოფილა დაყენებული სადარაჯოდ და მეორე ამ დარაჯის ძმა.—აქვე ეძებენ მესამესა და, იმედია, იმასაც შეიპყრობენ. ექიმები იმედოვნებენ, რომ მძიმედ დაჭრილი ფოსტალიონი მოარჩინონ როგორმე; თუმცა წელი გადაჭრილი ჰქონდა, მაგრამ გაუკერეს და ცოტა არა რომ უკეთობა ეტყობა.

*** სურამი: ამ დღეებში, ესე იგი 8-ს ივნისს, სურამსა და ბრეთს შუა ერთს ღელეში იპოვნეს თავ მოჭრილი კაცი, მარტო შარვალი-და ეცვა; თუთუნის ქისა და ჩიბუხი ედო ჯიბეში; დანარჩენი ყველაფერი წაეღოთ მკვლელებს. თავი ცალკე გდებულიყო და ტანი ცალკე. როგორც ეტყობოდა, ოთხი-ხუთის დღის მკვდარი უნდა ყოფილიყო. გვამი ნადირს გაეფუჭებინა. ჯერ არავინ იცის, რა კაცია მოკლული, ანუ სიდაურია.

*** გორი: 9 ივნისს, დილა რომ თენდებოდა, იქნებოდა ასე 5 საათი, სამი ავაზაკი თავით ფეხებამდე იარაღში მსხდომნი დაუხვდნენ გორის პირში ხიდს გაღმით გლეხს ს. შოშიაშვილს, სოფელს გორიჯვარში მცხოვრებელს, რომელიც მოდიოდა ცხენით გორს. ავაზაკებმა საცოდავი მგზავრი გადმოაგდეს ცხენიდგან, ძალიან სცემეს, რადგანაც გაუჭირვეულდა და მძიმედაც დასჭრეს მკლავში. ამას გარდა ცხენი წაართვეს, 40 მან. ფულად გამოვრთვეს და ვერცხლის ქამარიც შემოხსნეს. გაძარცვის შემდეგ ავაზაკები შესხდნენ ცხენებზედ და გაუდგნენ სიმღერით გზას სურამისკენ.

*** ქუთაისი: ერთი მეტად ახირებული და დაუჯერებელი ამბავი უნდა მოგწეროთ: 5 ივნისს აქ ჩამოიყვანეს ძალზედ ნაცემ-ნაგვემი და ცემისაგან ცალის თვალით დაშავებული კაცი, გვარად ძიძიგური, რომლის ტირილმა და მწუხარებამ მეტად შეაწუხა მნახველები. ავადმყოფი ჩამოიყვანა ოთხმა კაცმა. ამ ცემა-ტყეპის საქმე ყოფილა ამ ნაირად: რიონის სადგურს ახლოს ბაღდადის გზაზე დუქანში მსხდარან ვიღაც მგზავრები პურის საჭმელად. იქვე ყოფილა არღანის დამკვრელიც, რომელიც თურმე არღანს უკრავდა. ამ დროს გამოუვლია ვიღაც ერთს მოხელეს ყაზახებით. მოხელეს უკითხავს, დუქანი ვისიაო. მედუქნეს (გვარად ძიძიგურს) უთქვამს, ჩემიაო. მოხელეს უბრძანებია ყაზახებისათვის, სცემეთ ამ მედუქნესაო (ალბად არღნის დაკვრისათვის). ყაზახებიც მისცვივნიან და საწყალი მედუქნე მათრახითა და თოფის კონდახით დაულურჯებიათ. ამ ამბავს შესწრებია ერთი სხვა ძიძიგურიცა. მოხელეს ამისათვისაც უკითხავს ვინაობა. „ამასაც სცემეთო!“ უბრძანებია მოხელეს ყაზახებისათვის. ყაზახები მიჰვარდნი-

---

# ფელეტონი

### ჩვენი დედაკაცები

### და

### ახალი დრო

(იხ. „ივერია“, № 101)

### IV

ცხოვრებას თავისი, საკმაოდ გულქვავი, ლოღიკა აქვს. ვისაც არ შეუძლიან ფეხ და ფეხ მიჰყვეს თავის დროებას, ძალა-უნებურად იძულებული იქნება მის წინაამდეგ წავიდეს. ხოლო მონაწილეობა საკუთარის ქვეყნის ისტორიულს სიარულში იმის მომასწავებელია, რომ მონაწილეობის მიმღები შრომობს და იღვწვის თავის დროების შესაბამად და მის საჭიროებისამებრ. ყოველი ადამიანი, ვისაც არ შეუძლიან და შნო არა აქვს იღვაწოს ამ გვარად, იმას ზღვა ცხოვრებისა აუცილებლად და უსათუოდ გაიპირებს, გაჰრიყავს და მშრალზე გააგდებს. სამხედრო კაცის ენით რომ ვილაპარაკოთ, ამისთანა გარიყულებსა და მშრალზე დარჩენილებს ჯარიმა-დადებულები უნდა დავარქვათ, ინვალიდებათა და სახიჩარ ადამიანებად უნდა დავსახოთ, ისეთ ადამიანებად, რომელნიც, თავიანთ უძლურების გამო, მეტნი ბარგნი არიან ქვეყნისათვის და ყოველთვის ცოტად თუ ბევრად მის ბუნებურსა და თავისუფალს წინ სიარულს დიდად აბრკოლებენ. როგორც ვიცით, ისეთი ლაშქარი, რომელიც ურდოს არა ჰგავს და მძიმე ურმებითა და ბარგი-ბარხანათი არა ლაშქრობს, უფრო სუბუქად და სწრაფად მოძრაობს, ვიდრე ისეთი ლაშქარი, რომელიც იძულებულია თავის ლაშქრობის დროს ყოველ ამათ ტაატით სიარულს უცადოს.

ნუ-კი ეწყინებათ ჩვენს დედაკაცებსა და დღევანდელი მდგომარეობა ქართველის მანდილოსნისა სწორედ ისეთია, თითქო ბედის-საწერელს მისთვის ასეთის ლაშქრის დამაბრკოლებელ მძიმე ბარგისა და ნალოს როლი მიურგუნებიაო. ახალის დროების ვითარება ისეთია, რომ იმის გამო ქართველ დედაკაცს არ შეუძლიან ცნობიერად და შეგნებით ქვეყანას სარგებლობა მოუტანოს; ხოლო თუ არა-ცნობიერად, სტიქიონებრ მიეცემა ცხოვრებას და დღეს ერთი გამართული ქარი გაიტაცებს, ხვალ—მეორე, ეჭვი არ არის ქართველი დედაკაცი ავნებს მხოლოდ იმ საქმეს, რომელიც იქნება შეეყვარებინა და დიდად წინ წაეწია კიდეც, ცოტა სხვა გვარი საისტორიო და საზოგადოებური გარემოება და ვითარება რომ ჰქონოდა.

უპირველეს ყოვლისა სათქმელი ის არის, რომ ეხლანდელ ქართველ დედაკაცს, თუმცა პირველ შეხედვით დიდად საკვირველია, არავითარი საქმე, არავითარი გარკვეული მოვალეობა არა აქვს ცხოვრებაში. ამ ჩვენს დროში იგი თითქო მეტი ბარგიაო და, თუ არსებობს, თითქო ტრადიციით არსებობს, თითქო იმიტომ არსებობს რომ ბედს თავისი განსაკუთრებული წყალობა მოუღია იმაზე, ან არა და სულ გადაჰვიწყებია ეს დროების არშესაფერი არსებაო. კარგად ვიცი, რომ ეს ჩემი აზრი ბევრს, და ნამეტნავად თვით დედაკაცებს, დიდ სისულელედ ეჩვენებათ, ამიტომ ნება მომეცით მის დაწვრილებულს განხილვაში შევიდე ცოტაოდნად და ჩემი ლაპარაკი პატარა შორიდამ დავიწყო.

როგორც წინადაცა ვსთქვით, ბატონ-ყმობის დაცემასთან ერთად დაიგრიალა და დაეცა ის მტკიცე საისტორიო შენობაცა, რომელიც აგებული იყო საუკუნოებით. ამ შენობის ნანგრევებმა ქვეშ დაიტანა არა თუ ძველებური, მამა-პაპათაგან ნაანდერძევი გზა-კვალი საზოგადოებურის წარმატებისა, არამედ ქვეშ მოიყოლია და დაჰმარხა ცოტაოდენი სხვა რამაცა. ხოლო რაიცა შეეხება, მაგალითად, თავად-აზნაურობას, იმას ხომ შიგ გულში გაეწონა მახვილი. წინდაწინვე ძნელი სათქმელია, რასაკვირველია, ამ მახვილის გაწონვა სასიკვდინოა მისთვის, როგორც წოდებისათვის თუ არა, რადგან ყოველივე იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ წავა საქმეები შემდეგში და როგორ მოიქცევა თვით თავად-აზნაურობა; ხოლო რომ იგი მახვილი დიდის ძლიერებით მოხვდა და დიდადაც შეარყია თავად-აზნაურობა, ამაში ეჭვი არ არის. შედეგი ამ შერყევისა საგრძნობელია დღესაც და, უნდა ვიფიქროთ, რომ ჯერ კიდევ დიდხანს იქნება საგრძნობელი.

უწინარეს ყოვლისა შეირყა ქონებრივი ვითარება და შეიცვალა სამეურნეო როლი თავად-აზნაურობისა. მე იმას-კა არ მოგახსენებთ, რომ ბატონ-ყმობის გადავარდნამ ქონებით აზარალა ჩვენი თავად-აზნაურობა მეთქი. არა. ამ შემთხვევაში საქმე საქართველოს გაღარიბებასა და გამდიდრებაში არ არის. ეგ კიდევ გადასაწყვეტია, როდის უფრო მდიდარი იყო ქონებით თავად-აზნაურობა, ბატონ-ყმობის გადავარდნამდე, თუ შემდეგ. საქმე იმაშია, რომ გლეხთა განთავისუფლებამ უსასყიდლო და მუქთის შრომისაგან სრულიად შესცვალა ხასიათი და თვისება ჩვენის სამშობლო ქვეყნის საეკონომიო ცხოვრებისა და საზოგადოებურის შენობა-აგებულობისა.

ბატონ-ყმობის დროს, როგორც ვიცით, მეურნეობას უმთავრესად თავად-აზნაურობის მეურნეობის ხასიათი და თვისება ჰქონდა. საეკონომიო წარმოების თავი და ხელ-მძღვანელი იმ დროს თვით მებატონე იყო. რასაკვირველია, თვით მებატონე არა ჰხნავდა და არა სთესავდა თავის ხელით. ეს არც საჭირო იყო. მაშინდელ საიურიდიო და სამოქალაქო ერთმანერთობის წყალობით, უამისოდაც ადვილი იყო, რომ მებატონეთა წოდებას განსაკუთრებული ფერი და იერი მიეცა მთელის ქვეყნის საეკონომიო ცხოვრებისათვის. მებატონეს თავისი სახნავი მამული ჰქონდა, თავისი ნათესობა, თავისი მეურნეობა, საზოგადოდ თავისი წარმოე-

ან ახლა ამ საცოდავს და თოფითა და მათრახით იმდენ ხანს უცემნიათ, მანამ თვალი არ დაჰშავებია. აი ეს უბედური კაცი ჩამოიყვანეს აქ ნაცემმა მედუქნემ და სამმა კიდევ სხვა კაცმა. გალახულებმა თხოვნა მიართვეს ქუთაისის გუბერნატორს და სჩივიან, რა დავაშავეთ, რომ ასეთი უბედურება შეგვამთხვიესო.

*** ქუთაისიდამე: გარშემო სოფლებიდგან ძლიერ უჩივიან გვალვას. პირველს მაისს აქეთ ერთი ხეირიანი წვიმა არ მოსულაო, რის გამოც ყანები ჯერ უთესი დარჩენილა. პურიც გააფუჭა გვალვამ. საშინელი სიცხეები დადგა. ქარიც ხელს უწყობს ასეთს სიცხე-პაპანაქებას. ასეთი ხორაგეულობის სიძვირე, როგორც ეხლაა, არავის ახსოვს ქუთაისში. სიმინდის ფქვილი ფუთი მანეთად იყიდება.

*** 8 ივნისს, სალამოს 9 საათზე, ჯარის კაცი გიგო ივანეს ძე ზაზიევი თავის დასარჩობად მტკვარში გადავარდა, მაგრამ მალე მიასწრო პოლიციელმა და გადაარჩინა. ზაზიევი პოლიციაში მიიყვანეს და სთქვა, რომ დიდი ხანია სიცოცხლე მომბეზრდა და ამიტომ მტკვარში გადავარდიო.

---

მართებლობის განკარგულება.

**წერა-კითხვის სასწავლებლის წესები.**

§ 1. წერა-კითხვის სასწავლებელი იგივე, პირველ-დაწყებითი სასწავლებელია, რომელსაც დააარსებენ ქალაქისა და სოფლის მრევლთა შორის და აგრეთვე მონასტრებში.

§ 2. წერა-კითხვის სასწავლებელი, უკვე დაარსებული, აგრეთვე დასაარსებელიც, სასულიერო მთავრობის განსაკუთრებულს გამგეობასა და ზედამხედველობაში უნდა იმყოფებოდეს. მრევლში წერა-კითხვის სასწავლებლისათვის ზრუნვა და მისი ხელმძღვანელობა მინდობილი უნდა ჰქონდეს ადგილობრივს მღვდლებს, ანუ იმათ, ვისაც ეპარქიის არქიელი დაჰნიშნავს. სასწავლებლის მართლ-მადიდებელ ეკკლესიურ მიმართულების პასუხის-გება-კი უყოველს შემთხვევაში იმ სამრევლოს მღვდელს მოეკითხება.

§ 3. წერა-კითხვის სასწავლებლის დაარსება შეუძლიანთ ეკკლესიის კრებულის წევრთ, მონასტრებს, საქველ-მოქმედო დაწესებულებათ, ერთს ანუ რამდენსამე მრევლთაგანს, სოფლისა და ქალაქის საზოგადოებათა და ერობათა.

§ 4. ადგილობრივს მრევლს, თუ თავისის ხარჯით ჰსურს წერა-კითხვის სასწავლებლის დაარსება, რჩევისათვის უნდა მიჰმართოს სამრევლოს მღვდელს, რომელიც ვალდებულია, დასაარსებელ სასწავლებლისათვისა კეთილსარწმუნო და საიმედო მასწავლებელი და მზრუნველი მოსძებნოს და აგრეთვე საჭირო სახელმძღვანელოების და სასწავლო ნივთებისათვისაც იზრუნოს. თუ ვინიცობაა მრევლის მღვდელსა და სასწავლებლის დამაარსებელთა შორის რაიმე გაუგებრობა და მოურიგებლობა ჩამოვარდა, ეს საქმე, ადგილობრივ მამა ზედამხედველის მოხსენებისამებრ, საეპარქიო სამოსწავლო საბჭოს სამაზრო განყოფილებამ უნდა განიხილოს და განარჩიოს.

§ 5. იმ კერძო კაცთა და დაწესებულებათ, რომელნიც სამრევლოს არ ეკუთვნიან, მაგრამ ერთის, ან რამდენისამე წერა-კითხვის სასწავლებლის დაარსება-კი ჰსურთ, თავისი სურვილი უნდა აცნობონ ან საეპარქიო სამოსწავლო საბჭოს სამაზრო განყოფილებას და ან ადგილობრივს მღვდელს და ამასთანავე ისიც უნდა მოიხსენიონ, რა ადგილას აქვთ განზრახვა სასწავლებელი დაარსონ და რა საშუალებით.

§ 6. წერა-კითხვის სასწავლებელში მასწავლებლად უნდა იყვნენ მღვდელნი, დიაკვანნი და ეკკლესიის კრებულის სხვა წევრნი და აგრეთვე საერო მასწავლებელნიც, რომელნიც მართლ-მადიდებლის სარწმუნოებისანი უნდა იყვნენ, კეთილ-მსახურის ცხოვრებისანი, და რომელთაც პირველ-დაწყებით სწავლის საგანიც კარგად უნდა იცოდნენ. წერა-კითხვის სასწავლებლისთვის მასწავლებლის ამორჩევა შეუძლიანთ დამაარსებელთ სამრევლო მღვდლის თანხმობით.

§ 7. მასწავლებლის მოწმობის მქონეთ ნება ეძლევათ წერა-კითხვის სასწავლებელში მასწავლებლად ყოფნისა, რა-კი შეტყობილი იქმნება, რომ ზნეობის მხრივ კეთილ-საიმედონი არიან, და ეს გარემოება საეპარქიო სამოსწავლო საბჭოს სამაზრო განყოფილებასაც ექმნება ნაუწყები.

§ 8. თუ მღვდლის მიერ არჩეულს, ან სასწავლებლის დამაარსებელთა მიერ დასახელებულს კაცს არა აქვს მოწმობა პირველ-დაწყებითის, ან საეკკლესიო-სამრევლო სასწავლებლის მასწავლებლისა, მღვდელი ამ თავითვე უნდა დარწმუნდეს, რამდენად იცის მან ლოცვები, სამღვთო ისტორია, მცირე კათეხიზმო და წერა-კითხვის სასწავლებლის სხვა საგნები; და თუ მღვდლის მიერ არჩეული, ან სასწავლებლის დამაარსებელთა მიერ ნაჩვენები კაცი საკმაოდ მცოდნე აღმოჩნდა სამღვთო წერილისა და წერა-კითხვის სასწავლებლის სხვა საგნებისა და აგრეთვე ზნეობითაც კეთილ-საიმედოა, სამრევლოს მღვდელს შეუძლიან, წერილობით ნება-რთვა მისცეს მასწავლებლის თანამდებობის აღსრულებისა, და ეს გარემოება საეპარქიო სამოსწავლო საბჭოს სამაზრო განყოფილებასაც უნდა აუწყოს. იმ პირთ, რომელთაც წესების ამა §-ის საფუძველით მიეცემათ ნება წერა-კითხვის სასწავლებლებში მასწავლებლად ყოფნისა, სამხედრო ბეგარის წესდების მე 63 მუხ. შეღავათი არ ეძლევათ.

§ 9. წერა-კითხვის სასწავლებლის მასწავლებელთ, თუ პირველ-დაწყებით ან საეკკლესიო-სამრევლო სასწავლებელთა მასწავლებლის მოწმობა აქვთ, შეუძლიანთ, ისარგებლონ ყველა იმ უფლებით, რომელსაც ეს წოდება აძლევთ, და წესდ. მე-63 მუხ. სამხედრო ბეგარის გარდასახადისაგანაც განთავისუფლებული იქნებიან, ისე-კი რომ მათ სათადარიგო ჯარში ჩარიცხვის დღიდგან ხუთის წლის განმავლობაში საეპარქიო სამოსწავლო საბჭოთა სამაზრო განყოფილებებმა მოწმობანი წარადგინონ სამხედრო ბეგრის საქმეთა სამმართველოში და აცნობონ, რომ ზემოხსენებულ წერა-კითხვის სასწავლებელთა მასწავლებელთ არ დაუტოვებიათ მათის წოდების შესაფერი საქმე და კვლავ მასწავლებლობენ.

§ 10. სამრევლო მღვდლებმა უნდა იშუამდგომლონ სამაზრო განყოფილებათა წინაშე, რომ წერა-კითხვის სასწავლებლის მზრუნველად დამტკიცებულ იქმნენ ის პირნი, რომელთაც დაუარსებიათ ეს სასწავლებლები და ან ქონებით შემწეობას აძლევენ და ხელს უმართავენ, ხოლო წერა-კითხვის სასწავლებელთა დამაარსებელ საზოგადოებათ და დაწესებულებათ-კი თავის წევრთა შორის უნდა ამოირჩიონ სასწავლებლისათვის მზრუნველი. წერა-კითხვის სასწავლებლის მზრუნველი ეპარქიის არქიელმა უნდა დაამტკიცოს, საეპარქიო სამოსწავლო საბჭოს სამაზრო განყოფილების წარდგენილებისამებრ.

§ 11. წერა-კითხვის სასწავლებელთა მზრუნველებმა სამრევლო მღვდლებთან ერთად უნდა იზრუნონ: 1) რომ სასწავლებელი სანთო შენობაში იყოს მოწყობილ-მოთავსებული და კლასს საჭირო ნივთი არა მოაკლდეს-რა; 2) რომ, ადგილობრივ პირობათა თანახმად, დროზედ იქმნას სწავლა დაწყებული და რაც შეიძლება წესიერად დადიოდნენ სასწავლებელში მოსწავლენი; 3) რომ მასწავლებელს დროზედ ეძლეოდეს დანიშნული ჯამაგირი, და 4) რომ რაც შეიძლება წესიერად დადიოდნენ და არ აკლდებოდნენ მოსწავლენი ეკკლესიას. ამისათვის თუ ეკკლესია სოფელზედ მოშორებით არის, შეიძლება მორიგი ურმები დაჰნიშნონ ბავშვების ეკკლესიაში მისაყვანად.

§ 12. თუ წერა-კითხვის სასწავლებელთა მზრუნველი გლეხთაგანია, შეუძლიან ისარგებლოს იმ უპირატესობით, რომელიც მინიჭებულია აქვთ თემისა და სოფლის სამმართველო მოხელეთა და თანამდებობის პირთ (1861 წ. 19 თებერვლის გლეხთა შესახები დებულება, მუხ. 124, 1 და 2 პუნქტ.). („საქართ. საექსარხ. სასულ. მოამბე“).

(დასასრული იქნება)

---

**სალიტერატურო და საბიბლიოგრაფიო წერილები:**

(წერილი ლბ)

მოთხრობა ქცევათა და ჩვეულებათათვის ქართველთა, ფანასკერტელ ციციანოვისა.

მოთხრობა ესე ეკუთვნის წერა-კითხვის საზოგადოების ბიბლიოთეკას და აღნიშნულია № 1489-ით.

ეს ხელ-ნაწერი პატარა წიგნაკია. ავტორი იწყებს თავისს მოთხრობას ნოეს შვილების გაყოფა-განცალკევებიდამ და ეს გაყოფა, ავტორის სიტყვით, მომხდარა 1758 წელს დასაბამიდგან სოფლისა. ამ დროს საქართველო წილად ჰხდომია ნოეს შვილის შვილს თარგამოსს. ამას ჰყოლია რვა შვილი და ამათგან ერთს—უფროსს ჰრქმევია ქართლოს და მისგან საქართველოს მისცემია თვისი სახელი. პირველს დროს ქართველნი ყოფილან კარგის ზნისანი: სულგრძელნი, პირმტკიცენი, მტერთა მიმართ ერთპირნი, თავისუფლებისათვის მბრძოლნი, შემმაერთებელნი, უშიშარნი, გონებამახვილნი, ერთგულნი მეპატრონეთა თვისთანი, უშურველნი, უანგარონი, მოწყალენი, პირუთვნელნი, მაშენებელნი ციხეთა, ქალაქთა და დაბნებთა, ერთისა ცოლის მექონნი, თაყვანისმცემელნი ერთისა ღმერთისა, ტკბილმომღერალნი, რაჲცა უფროს მდგომარებდა საბრძოლველთა ლექსთა და ძალთა განმამხნობელთა სიტყვათაგან; დედანი კეთილად მქცევნი, დაცულნი, უცხონი საეროსა აშიკობისაგან, მორჩილნი ქმართა, მამა-დედათა და მოხუცებულთა, თავაზით მოუბნარნი, მოწყალენი, და ყოვლის წესითა და საქციელითა სამაგალითონი.

შემდგომთა ჟამთა ქართველთ შემოესივნენ სპარსნი, ბერძენნი, ასურნი, ურიანი, თურქნი და მათგან გაირყვნა პირვანდელი ზნე საქართველოისა და მას შემდეგ ქართველნი შეიქმნენ „ყოველთა წარმართა უწარმართეს და უუსჯულოეს“. გარნა მას შემდეგაც „იყვნენ მეფეთა და უფალთა თვისთა მორჩილნი, ერთპირნი მტერთა ზედა, ურთიერთისა მოყვარენი და სტუმართ მიმღებნი“. სწერენ საქართველოს [illegible] მწარალნი, ვითარმედ ალექსანდრე მაკედონელმა ქართველთ დააშლევინა მკვდრის ჭამა, ცუდი ქცევანი და სხვ., გარნა „ესე არა დამტკიცდების და არცა იხილვების ალექსანდრეს ისტორიისაგან, რათამცა ალექსანდრე ყოფილიყოს საქართველოსა შინა, და არც მთავართა მისთა შორის მოხსენებულ არს სახელი აზონისა“. ხოლო რაჲცა შეეხება ალექსანდრეს

---

ბა. რადგან ასეთი წარმოება დამყარებული იყო ყმების მუქთ შრომასა და ოფლზე, ხოლო თვით ყმები არაფრით არ იყვნენ წახალისებულნი, რომ მათ შრომას მეტი ნაყოფი გამოეღო და წარმოება დიდად სასიკეთო ყოფილიყო, ამიტომ თვით მებატონე იყო სული და გული, თავი და ბოლო წარმოებისა. ის სცდილობდა, რომ თითოეულის მწარმოებლისათვის თავი თავს მოეყარა და ყველანი ერთის საქმისაკენ მიემართნა. ამ სახით, მებატონე იყო მაშინდელის დროებისათვის ის ჭკუა-გონებისა და თაოსნობა-თადარიგობის ძალა, ურომლისოდაც ვერავითარი წარმოება ვერ იხეირებს.

რაკი ასეთი იყო ნიშნობლივი თვისება და ხასიათი მაშინდელის საეკონომიო ცხოვრებისა, ცხადია, რომ თავად-აზნაურობისთვის საჭირო იყო სოფლად ეცხოვრა, რადგან ბატონ-ყმური მეურნეობა უფრო სასოფლო, სამიწათ-მომქმედო მეურნეობაა. ამას გარდა, ბატონ-ყმურს წეს-წყობილებას ის უმთავრესი ზნეცა სჭირს, რომ ნაკლებად არის იმ დროს წარმატებაში მრეწველობა და ვაჭრობა. და აი ეს გარემოება გახლავთ მიზეზი იმისი, რომ მაშინდელ მებატონეს მეურნეობა სრულიად განცალკევებული, კარ-შეკეტილი და გარშემო ღრმა თხრილ შემოვლებული მეურნეობა იყო, ისეთი მეურნეობა, რომელიც ყოველ-გვარ თავის საჭიროებისათვის თვითვე ზრუნავდა და ყველაფერში თავისი ძალ-ღონითვე მიდიოდა იოლად. ამ გარემოების წყალობით თითოეულ ამისთანა სათავად-აზნაურო მეურნეობაში, თითოეულ ამისთანა ბატონის კარზე თავისებური და საკმაოდ განცხოველებული მრეწველობა იყო გაჩაღებული. რაკი წარმატებული ცვლა საქონელ-ფარჩეულისა და სავაჭრო ურთიერთობა მაშინ ძალიან სუსტი იყო, ფაბრიკებისა და ქარხნების ხსენებაც-კი არსად სჩანდა, ამიტომ სამიწად-მომქმედო შრომას—ამ მთავარს საფუძველს მეურნეობისას, თითოეული მებატონე ზედ უმატებდა სამრეწველო შრომასაცა. როგორც ვიცით, ჩვენებურ თავად-აზნაურთა ოჯახებში მისდევდნენ წარმოებას ბამბა-შალეულობისა და აბრეშუმეულობისას, რომელიც საჭირო იყო შინ სახმარებლად. ამასთანავე ოჯახებში დიდად მისდევდნენ აგრეთვე შინაურ ფრინველის გაზდას და ყოველ გვარის საქონლის მოშენებას, როგორც საკლავად, ისე სამუშაოდ საჭიროსას. ბაღეულობა და ბოსტნეულობაც ერთი უმთავრესი დარგი და შტო იყო მებატონეს მეურნეობისა, რომლის ნატვრა და სურვილი, სრულიად წინააღმდეგი ეხლანდელის ნატვრა-სურვილისა, ის იყო, რომ ყოველივე შინ სახმარი და საჭირო საგანი მაშინდელ მეურნეობას თვით, თავის ძალითა და ღონით მოეხერხებინა.

ასეთ სხვა-და-სხვაობასა და სამეურნეო ცხოვრების პირ-სავსეობას, ცხადია, ესაჭიროებოდა შრომა არა მარტო მამაკაცისა, არამედ დედაკაცისაცა. უდედაკაცოდ, უდიასახლისოდ მებატონეს მეურნეობა ისეთივე ძნელი წარმოსადგენია, როგორც ქარხანა უტეხნიკოდ, ანუ მუშაობის უზედამხედველოდ. რადგანაც პირვანდელის ბატონ-ყმურის წარმოების ხელმძღვანელობისათვის არ იყო საჭირო არც განსაკუთრებული სამეურნეო განათლება, არც განსაკუთრებული მზრუნველობა, ამიტომ ეს შრომა ხელ-მძღვანელობისა ადვილად შეეძლოთ გაენაწილებინათ ერთმანერთში ცოლ-ქმარსა, მით უფრო, რომ ცოლქმარნი მომზადებით და განვითარებით ძალიან ნაკლებად განირჩევოდნენ ერთმანეთისაგან. მართლაცა და ბატონ-ყმური მეურნეობა ორივ ცოლქმარს ერთნაირად და თანაბრად აწვა კისრად. ხოლო ამას გარდა, დედაკაცის ხელში იყო მისი განსაკუთრებული სადიასახლისო საქმეცა. მეურნეობაში იმისი საქმე იყო თვალყური სჭეროდა და სასურველი მიმართულება მიეცა ესრედ წოდებულის საშინაო წარმოებისათვის. მთლად ის სამუშაო, რომელიც სამიწად-მოქმედო მუშაობის გარეშე იყო, ხოლო კეთდებოდა-კი ბატონ-ყმურს მეურნეობაში, ხელში ეჭირა დედაკაცს, დიასახლისს, რომელიც მარტო იმიტომ-კი არ უნდა დავსახოთ დიასახლისად, რომ იყო მეუღლე მებატონისა და მამასახლისისა, არამედ უფრო იმიტომ რომ მხნე და ფრიად საჭირო მომქმედი იყო მებატონის მეურნეობის საქმეში.

ყოველივე ესე კმაროდა, რომ დედაკაცი უსაქმური, მოცლილი აღარა ყოფილიყო და ადამიანის ბუნება, რომელიც, როგორც საზრდო, ისე თხოულობს შრომასა და მხნეობას, დაკმაყოფილებულიყო. რა ვუყოთ, რომ იგი საზრდო მცირე და უყუათო იყო; რა ვუყოთ, რომ თვალთახედვის ისარი მაშინდელის დედაკაცისა სამეურნეო და საზოგადოებურს საქმეებში მოკლე და მრუდე იყო; რა ვუყოთ, დასასრულ, რომ თვით ნიადაგი იმის შრომა-მხნეობისა იყო შემაზრზენი და აღმაშფოთებელი, იმიტომ რომ საფუძვლად ჰქონდა მუქთი ოფლი ყმებისა; მაინცა და მაინც შრომა და მხნეობა მისი შრომადა და მხნეობადა რჩებოდა, ყოველივე ეს საქმიანობა და სარისტაიანობა ასე თუ ისე მოქმედობდა დედაკაცის ჭკუა-გონებასა და ხასიათებზე  ისიც ჰფიქრობდა, რომ მეც საჭირო ვარ ამ ქვეყნადა და ჩემი საზოგადოებური დანიშნულებაც მცირე არ არისო.

ბატონ-ყმობის გადავარდნამ უცბად შესცვალა სურათი. ხელ-მძღვანელობა ქვეყნის წარმოების საქმეში უცბად გამოეცალა ხელიდამ თავად-აზნაურობას; გამოეცალა იმიტომ რომ თვით საფუძველი ამ წარმოებისა—მუქთი ოფლი გაუქმებულ იქმნა. თავად-აზნაურობა მშრალზე დარჩა გარიყული და მისი მონაწილეობა ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაში, თუ სულ არარაობად არ გადიქცა, იმდენად მცირე მაინც არის, რომ ნუ იფიქრებთ, ამ მონაწილეობის მიღებით დაიჭიროს თავი დღეს ასე უკანუკან წასულმა წოდებამ.

მოსვლასა და აზონის საქართველოსა შინა გამგებლად დატევებასა, ესე ცხადად წინააღმდეგ არის ვითარცა სიმართლისა, ეგრეთვე თვით ალექსანდრეს მოთხრობისა“.

დღესასწაულობა კერპთა პატივ საცემად ასრე იცოდნენ: დანიშნულს დღეს „განვიდოდა მეფე და დიდებულნი და მდაბიონი, ბუკ-დაბდაბითა და ყოვლითა საკრავებითა, შესწირვიდნენ ზროხათა, კართა, ცხოვართა, და ნადირთა და თაყვანისცემდნენ კერპთა. მერმე ჰყოფდნენ ნადიმსა და განცხრომასა, და სმიდნენ ღვინოსა მროკველნი და მომღერალნი... გარნა განცხრომანი ესე დაშთნენ ქართველთა შორის ვიდრე დღეინდელად დღედმდე, რამეთუ ადგილებთა მათ ზედა სადაცა პირველ იყვნენ ბომონნი და კერპნი, შემდგომ ქრისტიანობის მიღებისა აშენდნენ წმიდანი ეკკლესიანი... ესე ვითარსა დღესასწაულსა ჰყოფდნენ და აწცა ჰყოფენ და განსცხრებიან მიმყვანი შესაწირავად პირუტყვთა და ღამე იგი განათენიან სიმღერითა და ფერხისათი.

ხოლო შემდგომ ოდესცა ღმერთმან სათნო იჩინა კსნა ქართველთა ერისა კერპთ მსახურებისაგან, მაშინ მივიდა ნინა მოციქული „დასაბამიდგამ სოფლისა 4263(?) ხოლო ქრისტესითგან 314, აგვისტოს 5 დღესა“ და მონათლა ქართველნი დასაბამითგან სოფლისა 4266(?) წელს, ქრისტესით 317 წელს... ესე სარწმუნოება ექმნათ ქართველთა მიზეზ მეზობელთა ერთა ურწმუნოთგან მრავალთა შეიწრებათა, ტყვენვათა და ოხრებათა.

მიცვალებულთა დასაფლავებასა [illegible]დნენ ფრიადის ტირილით და გოდებითა, წინაძღოლითა მოზარეთათა. ხოლო მეგობარნი და მონათესავენი ჰსძღნობდიან შესვენებულისა მის გვამსა თეთრსა და ლარსა ოქროქსოვილსა წასახურავად, პურსა, ღვინოსა, ზროხასა; ცხვარსა, სანთელსა, ცვილსა და სხვა (შეწევნა ჭირისუფლებისა დღესაც საქართველოს სხვა-დასხვა კუთხეში იციან).

ოდესაც შვილი წამოეზრდებოდა ვისმე, წარგზავნიდა თვის სანდო კაცსა სათხოველად სძალისა. უკეთუ ქალის მამა დასტურს მისცემდა, დანიშნავდნენ ნიშნობის დღეს. ამ დღეს შეიყრებოდნენ ქალის მამისას ნათესავნი ორთავეს მხრიდამ. მამაკაცნი დასხდებოდნენ სახლის კერას მარჯვენით და დედაკაცნი მარცხენით. მერმე წარმოდგებოდა სიძის სანდო კაცი, ვინმე მჭევრ-მეთქვთაგანი და დაიწყებდა: „ესე და ესე (ხარისხი სასიძოს მამისა გინა უხუცესისა, რომელიც იყვის სახლსა) სასურველისა ძისა თვისისა (სახელით) ითხოვს (კვალად ხარისხით მოიხსენებს მამასა ანუ ბიძასა სასძლოისასა) სასურველსა ასულსა (სახელით). ინებებთ თუ არაო“. სიტყვანი ესე იქმნებიან განმეორებულ ვიდრე სამგზის.

მაშინ კერძოდ სასძლოისა მსხდომარენი და თვით მეპატრონეი მისი ზე აღსდგებიან და ეტყვიან: „დიახ, ნება გვაქვს და ვაძლევთო“. ხოლო ამას ზედა კერძონი სიძისანი უძღვნიან მადლობასა თავის დაკვრით.

შემდეგ მოიღებენ შაქრის თავთა. წარმოდგების სიძის კერძო ჭაბუკი, მქონებელი, ცოცხალთა მშობელთა, იხადის ხანჯალი, დაჰკრის და განსტეხნის ყანდი. მაშინ მოიღიან შაქრლამანი და მიართმიან მუნ მსხდომარეთა და ბევრგვარი ხილი.

განსაკუთრებული პურობა და მეჯლიში იმართებოდა ახალ მოყვარეთათვის და სიძისათვის სასძლოს სახლში: შეიქნებოდა სმა სადღეგრძელოისა, გალობა და სიმღერა, გარდალევა ღვინისა. მაშინ დაწინდულნიცა იგი გარდაულევდნენ და უამბორებდნენ ურთიერთას. და მიართმევდიან მამამთილი და დედამთილი სძალსა პირისანახავსა, ვის რაამ შეეძლო.

ქორწილის ჟამს სიძე სასძლოს წარუგზავნიდა: ძვირფასსა ლარსა ტანისამოსად, ქვეშსაგებსა, თეთრსა შეძლებისამებრ, რომელსაცა უხმობენ საქორწილოს (ეს ჩვეულება დღესაც იციან საინგილოში).

(დასასრული იქნება)

# წვრილი ამბავი

დასავლეთის ევროპაში სრულიად ახალი ოსტატობა მოიგონეს დოღის დროს პირველის საჩუქრის მისაღებად. ეს ოსტატობა ისეთი ოსტატობაა, რომ, თუმცა უხეირო ცხენს ვერ გაამალებს, მაგრამ კარგს ცხენს-კი დააჩათლახებს და უკან ჩამოარჩენს. ამ საქმის თავი და ბოლო მორფიის (ბანგის) ხმარებაა. თუ დოღის წინად კანს ქვეშ რამდენიმე წვეთი შეუშხაპუნეს ბანგისა, ცხენი რამდენსამე საათს შესამჩნევად მოდუნდება, მოეშვება და სირბილი აღარ შეეძლება. პირველად ამ ნაირი ამბავი პარიჟში მოხდა ამ წინაზე. დანიშნული იყო დოღი და ყველას იმედი ჰქონდა, რომ განთქმული ცხენი „ერმავი“ გაიმარჯვებსო, მაგრამ ელმონდ ბლანის ცხენმა „კლამარმა“ მიიღო საჩუქარი იმის მაგიერ. ბოლოს აღმოჩნდა, რომ „კლამარის“ პატრონს ოსტატობა ეხმარა, „ერმავისათვის“ დოღის წინად მორფია (ბანგი) შეეშხაპუნებინა კანს ქვეშა და მხოლოდ ამის გამო გაემარჯვნა. ეხლა ეს საქმე გამოძიებაშია ჩავარდნილი.

— ელექტრონის სინათლე თევზის ჭერაშიაც გამოსადეგი ყოფილა. მაინის ფრანკფურტში საელექტრონო გამოფენაა და ამ გამოფენის სანათ-აპპარატების განყოფილებაში რამდენიმე ელექტრონის ლამპარია, რომელსაც თევზის საჭერად ხმარობდნენ უფრო მეცნიერულის აზრით. ეს ლამპრები იმითია კარგი, რომ რა სიღრმეზედაც უნდა კაცს, იმ სიღრმეზე ჩაიტანს წყალში და იმის სინათლეს თევზი ძლიერ ეტანება. ჩრდილო ამერიკის შეერთებულს შტატებში უკვე რამდენიმე თევზის საჭერი ნავი და გემია ამ ნაირის ლამპრებით მოწყობილი და პატრონები დიდს სარგებლობაში არიან. ინგლისის სამხრეთის ადგილებში სცადეს და დარწმუნდნენ, რომ ელექტრონის სინათლე ძლიერ იზიდავს თევზსა. ორი თევზის საჭერი იარაღი ჩაუშვეს ზღვაში. ერთი ამ იარაღთაგანი ედისონის ლამპრით იყო მოწყობილი, ხოლო მეორე-კი არა. პირველი იარაღი სულ თევზით იყო გაჭედილი და ულამპროში-კი თითქმის ერთი თევზიც არ შესულიყო. ეს საქმე რამდენჯერმე სცადეს და დარწმუნდნენ, რომ ელექტრონის ლამპარი თევზის ჭერის დროს მართლა გამოსადეგი ყოფილაო. ამის გამო ევროპაში უკვე დაიწყეს ამ ლამპრებით თევზის საჭერ იარაღების მოწყობა, თუმცა ბევრნი ამბობენ, რომ თუ ასე ვინადირეთ თევზი, მალე გავაჩანაგებთ ზღვებსაო.

— ერთი სწორედ რომ სასაცილო ქორწილი მოხდა ამ წინაზე ინგლისის ქალაქს სოუგ-შელდაში. არშინ ნახევრის სიმაღლე ჯუჯა ქონდრის ქალი მისთხოვდა „ქვფონიის პროფესორს“, რომელიც სწორედ ორი თავისის ცოლის სიმაღლეა. ქორწინების მოწმედ ქალის მხრით იყო ამერიკელი ქალი ნინო, რომელიც თავისის დიდის ტანით არის განთქმული და წონით თხუთმეტ ფუთ ნახევარია. მეორე მოწმედ ქალისავე მხრით გაათხოვარი ქალი, სეტონელლა იყო, რომელსაც ცეცხლის მეფას უძახიან. კაცის მაყრები ორნი იყვნენ — კაპიტანი დალლი სიმაღლით თითქმის საჟენ ნახევარი და ცნობილი ჯუჯა ქონდრის კაცი „გენერალი მიტილენი“. ქალი უხელო კაცმა მოიყვანა, რომელიც, როცა თავისს გვარსა და სახელს აწერდა ქაღალდს, კალამი კბილებით ეჭირა. მთელი ეს ხალხი ადგილობრივის ცირკის ხალხია.

## წერილი რედაქციის მიმართ

ნება მოგვეცით თქვენის პატივცემულის გაზეთის საშუალებით გულითადი მადლობა გამოვუცხადოთ იმათ, რომელთაც მცხეთის საჯარო წიგნთსაკითხავს შემოსწირეს წიგნები:

ალექსანდრე როინაშვილმა 10 მან. და 50 კაპ., მღვდელმა სვიმონ ხახუტოვმა 6 მან. 55 კ., ანასტასია გედევანოვის ქალმა 6 მან. 35 კაპ., ივანე ემელიანოვმა 3 მან. 70 კაპ., შაქრო ჯინჭველაძემ 2 მან. და 75 კაპ., პროკოპი ბარისაშვილმა 7 მან. 50 კაპ., მარიამ ბარისოვისამ ფულად 1 მან. და წიგნები ღირებული 5 55 კაპ., ზაქარია გარსევანაშვილმა 2 მან. 20 კაპ., გრიგოლ მაჩხანელმა 3 მან. 40 კაპ., საბა პონოზიშვილმა 3 მან. 50 კაპ.

მცხეთის საჯარო ბიბლიოთეკის გამგებელნი

# დეპეშა

9 ივნისი

**ლონდონი.** „Times“-ს აუწყებენ დეპეშით კონსტანტინოპოლიდგან, იემენიდგან ამბავი მოვიდა, რომ ოსმალეთის ჯარს ბრძოლა ჰქონია აჯანყებულებთანაო. ოსმალნი დამარცხდნენ და ძლიერ დაზარალდნენ. შიში აქვთ, ხენჯასშიც არ მოხდეს აჯანყება, სადაც ამ ჟამად ბევრი მლოცავი იმყოფებაო.

**ბერლინი.** დღეს დასრულდა პრუსიის სეიმი სეფე სიტყვით, რომლითაც იმპერატორმა თავისი სიამოვნება გამოაცხადა იმის გამო, რომ ახალი საყურადღებო კანონები იქმნა განხილული, სახელდობრ, სახელმწიფო ხარჯის კანონი, იმ თანხის კანონი, რომელიც კათოლიკე სამღვდელობის შეკრულ ჯამაგირიდგან შესდგა და საერობო კანონი. „მშვიდობიანობა, რომელიც ძლიერ საჭიროა სახელმწიფოს თვის, მით უმეტეს დამკვიდრდება, რამდენიც დარწმუნდებიან, რომ უფლებანი ეკკლესიისა უნდა შემცირდეს იმ ზომამდე, რაც აწინდელს მდგომარეობას სახელმწიფოსას შეესაბამებაო“. დასასრულ იმპერატორმა სთქვა, დიდი ნაყოფი ლანდტაგის სესსიისა უთუოდ სასარგებლო იქნება, თუ მშვიდობიანობა არ დაირღვევა და არც უნდა გვეშინოდეს, რომ დაირღვევა, რადგან საამისო მიზეზები არა სჩანს-რა და მეორეც, მე ნიადაგ იმისს ზრუნვაში ვიქნები, რომ მშვიდობიანობა დაცულ იყოსო.

10 ივნისს

**პეტერბურგი.** გუშინ საღამოს ხელმწიფე იმპერატრიცა ყირიმიდგან პეტერბურგს გამოემგზავრა. მისს უდიდებულესობასთან ერთად მობრძანდებიან აქ: დედოფალი ბერძენთა, დიდი მთავარი გიორგი ალექსანდრეს ძე, დიდი მთავრინა ქსენია ალექსანდრეს ასული, საბერძნეთის პრინცი და პრინცესა მარიამი და ქრისტეფორე

---

საინტერესო საეკონომიო როლი ეხლანდელის თავად-აზნაურობისა. უნდა გამოვტყდეთ, რომ იგი როლი მეტად უნუგეშოა და უმნიშვნელო. თავად-აზნაური ეხლანდელს დროში ისეთი მუშა-კაცი აღარ არის, როგორც წინად იყო, აღარ არის ცნობიერად მომქმედი სამეურნეო ძალა, რომელიც ბატონ-ყმობის დროს თავის მოქმედებით ასე თუ ისე მცირედს შესამატს მაინც ჰმატებდა ქვეყანას. ეხლანდელი თავად-აზნაურშვილი ღალის ამკრებია მხოლოდ, არა მწარმოებელი, არამედ მომხმარებელი, მჭამელი. თავად, თავის ძალ-ღონით იმას არ შეუძლიან თავისი საკუთარი წარმოება იქონიოს და ამიტომ იძულებულია თავისი მიწები აძლიოს გლეხ-კაცებს, თავის გუშინდელ ყურ-მოჭრილს ყმებსა და მონებს. აი ასეთია საფუძველი და ნიადაგი სათავად-აზნაურო მეურნეობისა ბატონ-ყმობის გადავარდნის შემდეგ.

შესაძლოა, რომ მამულებისა და მიწების გაცემამ იჯარით და საღალოდ, არა თუ შეამცირა შემოსავალი თავად-აზნაურთა მამულებისა, არამედ, პირ-იქით, იქმნება ცოტაოდნად გააზევრა კიდეც; ხოლო სამაგიეროდ არსებობა თავად-აზნაურობისა, როგორც წოდებისა, როგორც ისეთის კრებულისა, რომელიც ცხოვრებაში მტვირთველია გარკვეულ საზოგადოებურ და საეკონომიო მოვალეობისა, მეტად შეუსაბამო და დახლართულ საქმედ გადიქცა. მართლაცა და როგორ უნდა იცოცხლოს დიდხანს ისეთმა წოდებამ, რომელიც არას აძლევს ქვეყანას და ქვეყნის საერთო ნაშრომ-ნაღვაწევიდამ-კი საკმაოდ დიდს წილს თხოულობს ქონება-დოვლათისას ყოვლად უსასყიდლოდ და სრულიად მუქთად?! ისტორიას არას დროს არ შეუწყნარებია უფლებანი უვალდებულოდ და უმოვალეობოდ, ხოლო ვალდებულება-მოვალეობანი უუფლებოდ. არავითარს ქვეყანას, არავითარს საზოგადოებურს წეს-წყობილებასა და აგებულებას არ შეუძლიან მოითმინოს, რომ რომელიმე წოდება, გინა კრებული საზოგადოებისა სცხოვრობდეს და კეთილდღეობდეს ისე რომ არავითარი მოვალეობა არ აწვეს ტვირთად ან ქონება-დოვლათის წარმოების საქმეში, ან ერის ზნეობასულიერს ცხოვრებაში.

და აგერ ეხლაც ცხოვრებამ უკვე დაუწყო „შურის-ძიება“ ჩვენს თავად-აზნაურობას. რაც რომ ახალი გარემოება და ვითარება გაჩნდა ამ ბოლოს დროს, ყოველივე ერთად და თითოეული ცალკე იმის ცდაშია, რომ დასცეს მისი ძალა და მნიშვნელობა, ნელ-ნელა ფეხ-ქვეშ ნიადაგი გამოაცალოს და გამოწუწნულ, ფიტ-გამოლეულ ლიმონივით შორს გადისროლოს.

ხვნა-თესვისა და მიწად-მფლობელობის საქმეში ამ ჟამად მედგარი და ყრუ ბრძოლა-ჭიდილია გამართული თავად-აზნაურსა და გლეხ-კაც შორის. ყოველივე იმედი გამარჯვებისა ამ ბრძოლაში ჯერ-ჯერობით გლეხ-კაცსა აქვს. თან და თან უფრო ძლიერდება გლეხ-კაცი და, თუ საქმე კვლავ ასე წავიდა, თუ თავად-აზნაურობამ დროზედვე არ იზრუნა და არ იხსნა თავი, მალე სრულიად დამარცხდება.

მებატონეს ხელში მიწა, ეს იარაღი სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა, მკვდარი თანხაა. თავად-აზნაურშვილს, რაკი საქმის სატრიალებელი თანხა არა აქვს და საჭირო ცოდნაც აკლია, არ შეუძლიან თვით შეუდგეს თავის მამულში ხვნა-თესვას და მიწათმოქმედებას და ამიტომ იძულებულია გლეხებს აძლიოს საღალოდ. ხოლო იმ დრომდე, ვიდრე საფუძველი მეურნეობისა ისევ ძველებურია და წესი წარმოებისა პირვანდელი, ადამის ჟამისა, ვიდრე თავად-აზნაურიცა და გლეხ-კაციც ამ გვარს წესს ადგია, ერთის სიტყვით, ვიდრე თივად-აზნაური უკეთესს წესს წარმოებისას და მეურნეობის უკეთესს აგებულებას არ შემოიღებს, იმ დრომდე-მეთქი, ვიმეორებ, გლეხ-კაცი მუდამ გამარჯვებული იქმნება, ხოლო თავად-აზნაურშვილი—დამარცხებული. გლეხ-კაცს მშრომელი და გამრჯელი მარჯვენა თვითონა აქვს—თავად-აზნაურმა-კი ფასი უნდა აძლიოს ამისთანა მარჯვენაში; გლეხ-კაცი თვითონ უვლის თავის მეურნეობას და თვალ-ყურს უგდებს მოსავალსა და ჭირნახულს—თავად-აზნაურმა უნდა ფასი აძლიოს და დაქირავებულს კაცებს უნდა აკეთებინოს ყოველივე ესე. ნამეტნაობა შრომის ნაყოფისა, რამდენადაც-კი იგი ნამეტნაობა დამოკიდებულია გულ-მოდგინეობასა და ერთგულებაზე, ყოველთვის მეტი იქმნება გლეხ-კაცის საკუთარს მამულში, ვიდრე იმავე გლეხ-კაცისაგან შემუშავებულს თავადისა ანუ აზნაურშვილის მამულში.

ყოველ ამ გარემოებათა გამო, ცხადია, თავად-აზნაური იძულებულია თავისი მამულები გლეხ-კაცებს აძლიოს შესამუშავებლად და იმათვე უთმობდეს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ხელ-მძღვანელობისა და მიმართულების საქმეს. ხოლო რაკი ეს საქმე თავად-აზნაურობას ხელიდამ გამოეცალა, მომეტებულ ნაწილად სოფლად გასაკეთებელიც აღარა რჩება-რა. ამიტომ თავად-აზნაურობა თავს ანებებს სოფელს და ეტანება ქალაქს, საცა უსაქმურობასა და უთავ-ბოლო ცხოვრებაში ჰფლანგავს ჯერ თავის მამულის შემოსავალს, ხოლო შემდეგ, რაკი ქეიფის ეშხში შედის, ჰყიდის თვით მამულსაცა, სჭამს იმასაც და რჩება ხელ-ცარიელი.

ამ სახით მხნეთა და მტკიცე, შეურყეველის ზნეობის კაცთა თაობას მოჰყვა თაობა უსაქმურთა და მოცლილთა; შრომისა და გამრჯელობის მოყვარულმა მამებმა დაუტოვეს ქვეყანას შვილნი—მუქთა-მჭამელნი. მოდით ახლა და ბრძანეთ, რომ ფრიად სამწუხარო სამკვიდრებელი არ არის ასეთი სამკვიდრებელიო! მოდით ახლა და ბრძანეთ რომ ასეთი ყოფა დიდი მუქარა არ არის ჩვენის მერმისისათვისაო!

გ. მაიაშვილი

და დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე.

გუშინ დილით მემკვიდრე ცესარევიჩი ალბაზინს მიბრძანდა.

**პარიჟი.** ავაზაკების დასის იასაული ათანასე 15-ის ავაზაკით დაეცა ადრიანოპოლის მიდამოს და ტყვედ წაიყვანა მრავალი წარჩინებული კაცი, რომ შემდეგ გამოესყიდვინებინა; მაგრამ ერთი რაზმი ანდრიანოპოლის ჯარისა გამოეკიდა ავაზაკებს და დააყრევინა ტყვეები, ხოლო ავაზაკები მთებში დაიმალნენ.

11 ივნისი

**პეტერბურგი.** როდესაც სატეხნიკო საზოგადოების წევრების ხელმძღვანელობით ჰბერავდნენ ჰაეროსტატებს, რომელიც გრაფს აპრაქსინს ეკუთვნის, ოთხი მუშა დაიღუპა, რადგან ჰაეროსტატი ასწყდა, აიტაცა და 20 საჟენის სიმაღლიდგან ჩამოცვივდნენ.

**ბერლინი.** საზოგადო სამუშაოთა მინისტრი მაიბახი სამსახურიდამ დაითხოვეს. იმპერატორმა უბოძა მას თავისი მარმარილოს ბიუსტი.

იმპერატორმა მადლობა გადაუხადა გრაფს შულენბერგს და უბოძა ღირსება პოდპოლკოვნიკისა იმ სიტყვის გულისათვის, რომელიც მან პალატაში სთქვა ბისმარკის პოლიტიკის წინააღმდეგ.

**პარიჟი.** სენატმა უარ-ჰყო პალატის მიერ მოწონებული წინადადება შესახებ ახალ-თესლის მინდვრებზე ექვსის მილიონის გარდასახადის მოსპობისა.

განსამართლებისა გამო დამნაშავეთა მელიტინის მომზადების უკანონოდ გასყიდვაში, ფრეისინე ამბობს, რომ არც ერთმა უცხო სახელმწიფომ არ იცის საფრანგეთის შეიარაღების საიდუმლო და არც ერთს აფიცერს არ დაურღვევია თავისი მოვალეობაო. მცირე მოლაპარაკების შემდეგ პალატამ განაჩინა: ნდობა გამოეცხადოს ფრეისინეს სახელმწიფოს დაცვის უზრუნველ-ყოფისათვის.

პეტერბურგის ბირჟა, 7 ივნისი.

| | მიღებე-ლისა. | | გაცემუ-ლისა. | | გაყიდუ-ლისა. | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 6 | 85 | 6 | 90 | — | ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 136¾ | | 137½ | | — | ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1,03½ | | 1 | 05 | — | ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | 244 | | — | ,, | — | ,, |
| —მეორისა . . . . | 224 | | — | ,, | — | ,, |
| —მესამისა . . . . | — | ,, | — | ,, | — | ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურთაის ბანკის ფურცელი, . , , , | 210¼ | | — | ,, | 212 | |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — | ,, | — | ,, | — | ,, |
| ქუთაისის ბანკისა . . | — | ,, | — | ,, | — | ,, |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — | ,, | — | ,, | — | ,, |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით, ნაშუადღევის 4 საათზე მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურში შეივლის).

კვირაობით, საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს, შორის გზით.

პარასკეობით, დილით-ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შეივლის).

შაბათობით, დილით, სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით, დილის 9 საათზე, და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყიზირიმისა და რუმელია ანატოლისკენ წამსვლელ გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკეობითა და კვირაობით. რაკი გემი მოკა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამის გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებიდან გადაწყვეტილს კვადაზე გემები.

# განცხადებანი


ქართველთა ამხანაგობის წიგნების მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი ახალი წიგნები:

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| პატიოსანი ადამიანი . . | „ | 5 |
| ლენტის მსგავსნი ჰიებ ი. თ. . . . . | „ | 5 |
| მეფე დავით აღმაშენებელი, ისტორიული დრამა თ. ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანისა . . . | „ | 40 |
| უკინასკნელი დღე სიკვდილით დასასჯელისა, ვიქტორ ჰიუგოსი, ფრანგულით თარგ. თ. სახოკიასი. . . . . | „ | 30 |
| სამნი ბრძენნი, ილ. ოკონთელისა. . . . . | „ | 20 |
| ძმური სიტყვა. დ. მაჩხანელისა . . . . . . | „ | 25 |
| იქავე ისყიდება-**თორნიკე ერისთავი**, ისტორიული პოემა აკაკისა . . | 1 | „ |

„წერა-კითხვის საზოგადოების“
**წიგნის მაღაზიამ**

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| უკანასკნელი დღე სიკვდილით დასჯილისა, ვიქტორ ჰიუგოსი. თარგ. თ. სახოკიასი . . . . | „ | 30 |
| ხალხური ლექსები, შეკრებილი ალნიაშვილის მიერ. | „ | 30 |
| ლექსები ნ. ბარათაშვილისა. ახალი გამოცემა. . . | „ | 30 |
| რამდემიმე ლექსი ცახელისა. . . . . . | „ | 15 |
| თხზულებანი გ. ერისთავისა, მშვენიერს ყდაში ავტორის სურათით . . | 2 | „ |
| ქართულ-რუსული ლექსიკონი დ. ჩუბინაშვილისა სამივე ნაწილი . . . | 8 | „ |
| ქართული ლექსიკონი, შედგენილი საბა-სულხან ორბელიანისაგან . . | 3 | „ |
| გზა ცხოვრებისა, შედგენილი წმიდისა ალ. ლიგუორისაგან . . . . | 1 | „ |
| წინამძღვარი ზეცისა . . | „ | 50 |
| წმიდათა ცხოვრება . . | 1 | 20 |
| იგავნი ფილოსოფოს ეზოპისა . . . . . . . | „ | 40 |
| სიბრძნე კაცობრივი . . | 1 | „ |
| ბრძენი . . . . . | „ | 30 |
| მოკლე სახელმძღვანელო ფრანგულის ენისა, ყდით. | „ | 50 |
| მოკლე ფრანგული გრამატიკა . . . . . . | „ | 40 |
| მოკლე მსოფლიო ისტორია ძველთა და ახალთა ნათესავთა დასაბამიდგან სოფლისა ვიდრე დღევანდლამდე, ყდით . | 1 | 20 |
| მოკლე გეოგრაფია ფიზიკებრივი, მოქალაქებრივი და ისტორიებრივი, დამატებით ძველის გეოგრაფიისა. . . . . | „ | 50 |
| მოკლე ქართული გრამატიკა დამატებით გრამატიკურის და ლოღიკურის ანალიზებისა. . . | „ | 40 |
| მოკლე რეტორიკა, გინა მჭევრ-მეტყველება სასარგებლოდ ახალგაზდა ყმაწვილ-კაცისა, ყდით . | „ | 50 |
| მოკლე ფილოსოფია, გინა სიბრძნის მოყვარეობა, რომელიც შეიცავს ფსიხოლოღიას, ლოღიკას, ბუნებით ღვთის-მეტყველებას და ზნეობას ყდით. | „ | 50 |
| წამება, ლექსად თქმული ცხოვრება წმიდისა ესტატისა, ყდით . . . | „ | 60 |
| ყვავილების კონა, ანუ რჩეული ლექსები სასარგებლოდ ახალგაზდა ყმაწვილ-კაცთა. . . . | „ | 50 |
| საქართველოს სამოთხე, საბინინისა, ოც-და-შვიდი სურათით. . . . . | 10 | „ |
| Книга Калилаһ и Диманаһ или сборникъ Басенъ извѣстныхъ подъ именемъ басенъ Бидпая, переводъ съ арабскаго М. О. Аттая и М. В. Рябинина, цѣна . . | „ | 3 |
| Матеріалы для русской исторіи, С. Ал. Бѣлокурова . . . . . | 3 | „ |
| Сношенія Россіи съ Кавказомъ, С. А. Бѣлокурова . . . . . | 3 | „ |
| Поѣздка старца Арсенія Суханова въ Грузію 1637—1640 гг. . . . | „ | 25 |

დაიბეჭდა და ისყიდება
წერა-კითხვის გამავრცელებელს წიგნთსაცავსა და ქართველთა წიგნთ გამომცემელთ მაღაზიაში

**მეფე დავით აღმაშენებელი**

ისტორიული დრამა, ოთხს მოქ. თხზულება.

თ. ალ. ჯამბაკურიან-ორბელიანისა

გამოცემა

ზ. ჭიჭინაძისა

ფასი ორი აბაზი.

სავალანტერიო მაღაზია

**პ. ი. ბროდსკისა**

**გადავიდა** შუა-ბაზარში, კათოლიკეთა ქუჩის კუთხეზედ, სადაც წინად მერაბოვის ლამპის მაღაზია იყო.

(20—72—9)

გამოვიდა და ისყიდება ქვემო მოხსენებულ პირებთან ერთ წიგნში მოთავსებული ქართული პიესები.

**ქართული პიესები**

თხზულება

**ალალო თუთაევისა.**

ამ წიგნში შემდეგი პიესებია მოთავსებული:

„**უშნო არშიყი**“, კომედია სამ მოქმედებად.
„**სოფიო**“, ვოდევილი ერთ მოქმედებად.
„**დუქნის ოთახში**“, სცენა ქალაქის ცხოვრებიდამ.

ტფილისში—„წერა-კითხვის“ წიგნის მაღაზიაში, წიგნების გამომცემელ ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში, გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში. და თვით ავტორთანსა კუთარს მაღაზიაში.
კავკავში—ი. ტერტეროვთან.
ველისციხეში—მ. ქალანთაროვთან.
სიღნაღში—კ. ნადიროვთან.
თელავში—მამა აბელ სუქიანცთან.
გორში—სოფრომ მგალობლიშვილთან.
ცხინვალში—ი. მელქუოვთან.
„ თ. კ. მ. ციციანოვთან.
სურამში—ზ. არუწოვთან.
ყვირილაში—თ. ხუსკივაძესთან.
ქუთაისს—ძმ. ჰილაძებისა და ძმ. წერეთელ. წიგნის მაღაზიაში.
ხონში—ძმ. წერეთლების წიგნის მაღაზიაში.
ოზურგეთში—თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში.
ახალსენაკში—ი. ჯიჯიხიასთან.
ბათუმში—მ. ნიკოლაძის სააგენტოში.
ფოთშ—ნოდიას წიგნის მაღაზიაში.
სოხუმში—ან. ჯუღელთან.

ფასი. 30 კაპ.

(10 0)



საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

**„ივერია“**

1891 წ. 1-ს იანვრიდამ გამოდის ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით. . . | 10 მ.—კ. | 6 თთვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 ,, . . . | 9 ,, 50,, | 5 ,, . . . . | 5 ,, 25,, |
| 10 ,, . . . | 8 ,, 75,, | 4 ,, . . . . | 4 ,, 70,, |
| 9 ,, . . . | 8 ,, —,, | 3 ,, . . . . | 3 ,, 50,, |
| 8 ,, . . . | 7 ,, 25,, | 2 ,, . . . . | 2 ,, 75,, |
| 7 ,, . . . | 6 ,, 50,, | 1 ,, . . . . | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ ,,ივერია'' მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты ,,ИВЕРІЯ''.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:**

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.